საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ეთიკის კომისიის 2024-2025 სასწავლო წლის საქმიანობის

შემაჯამებელი ანგარიში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კომისიის მიერ 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელებული საქმიანობის შეჯამება.

ანგარიში ასახავს კომისიის მიერ განხილული საჩივრებისა და საკითხების შესახებ ინფორმაციას, უნივერსიტეტში ეთიკური სტანდარტების დაცვისა და გაუმჯობესების მიმართულებების შესახებ ინფორმაციას,

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2014 წლის „15 " ოქტომბრის #62 სხდომის #1 დადგენილებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს სსიპ - „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები".

ეთიკის კოდექსის მიზანია: - ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში დისციპლინის დამკვიდრებას; - განსაზღვროს უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა მისაღები ქცევის წესები უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად; - უნივერისიტეტში პოზიტიური და სწავლებისა და სამეცნიერო კვლევისათვის ხელშემწყობი კლიმატის შექმნას.

კოდექსის მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე პერსონალზე, მოწვეულ სპეციალისტზე ასევე, ემერიტუსის აკადემიური წოდების მქონე პირზე (შემდგომში „პერსონალი") და უნივერსიტეტის სტუდენტებზე.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ეთიკის კომისიამ განიხილა უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტების მხრიდან შემოსული განცხადებები და საჩივრები. კომისიამ თითოეული შემთხვევა განიხილა მოქმედი ეთიკის კოდექსისა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა ოთხი განცხადება/საჩივარი 10 პიროვნებასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც კომისიამ ჩაატარა სხდომები და განიხილა შესაბამისი საკითხები. განხილვის შედეგად მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ მიიღო შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:

შენიშვნა გამოეცხადა 6 თანამშრომელს;

საყვედური გამოეცხადა 2 თანამშრომელს;

მკაცრი საყვედური გამოეცხადა 1 თანამშრომელს;

სამსახურიდან დაითხოვნილი იქნა 1 თანამშრომელი.

კომისიის მუშაობა ასევე მოიცავდა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის ეთიკური პრინციპების განმარტებასა და პრევენციულ ღონისძიებებს. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ასევე სტუდენტებისათვის ეთიკური გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობას.

ეთიკის კომისია საქმიანობას ახორციელებდა ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვით.

თავმჯდომარე: _____